საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №522

თბილისი „07“ 06 2017 წ

იმ პირებისათვის დამატებითი სკოლის გამოსაშვები გამოცდების დანიშვნის შესახებ, რომლებიც ობიექტური მიზეზით ვერ გამოცხადდნენ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე „2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგის (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 04 მაისის N393 ბრძანებით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის N48/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის 4[1] პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2017 წლის 06 ივნისის N606519 მოხსენებითი ბარათის და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 მაისის N561843 და N563037 მომართვების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 09 და 10 ივნისს დაინიშნოს დამატებითი სკოლის გამოსაშვები გამოცდები იმ პირებისათვის, რომლებიც ობიექტური მიზეზით ვერ გამოცხადდნენ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე „2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგის (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 04 მაისის N393 ბრძანებით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად;

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ლია გიგაური
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი